

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/07

(ოქმი N6)

ქ. ბათუმი

06 მაისი 2016 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული და წიური გეგმების შეთანხმების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>7</sup> მუხლის თანახმად:

1. შეთანხმებული იქნას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული და წიური გეგმები.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „www.ajaratv.ge“.
3. გადაწყვეტილება ძალაშია 2016 წლის 06 მაისიდან.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

შიდა აუდიტის სამსახურის

სტრატეგიული გეგმა

2016 – 2018 წლები

აპრილი, 2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. შესავალი - გვ. 3
2. შიდა აუდიტის სუბიექტის სტატუსი, მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილება - გვ. 4
3. სტრატეგიული და ორგანიზაციული პროცესების მიმოხილვა - გვ. 7
4. შიდა აუდიტის გარემო - გვ. 8
5. სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები რისკის შეფასება - გვ. 8
6. რისკის შეფასების შედეგები, აუდიტორული შემოწმების ხანგრძლივობა და საჭირო რესურსები - გვ.9
7. გამოწვევები და შიდა აუდიტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები - გვ.10

## შესავალი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (შემდგომში- მაუწყებელი) შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული გეგმა (შემდგომში სტრატეგიული გეგმა) გამომდინარეობს მაუწყებლის გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს სამწლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სამსახურის სამწლიან სამოქმედო გეგმას, დოკუმენტს, რომელიც მიმოიხილავს სამსახურის გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას და შემუშავებულია იმისთვის, რომ განსაზღვროს სამსახურის სტრატეგიული ამოცანები, უმნიშვნელოვანესი მიზნები, დროში გაიწეროს მოქმედებები, ასევე, კონკრეტული მდგომარეობის მისაღწევად ადეკვატურად განაწილდეს საკადრო და დროის რესურსები.

სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე, შიდა აუდიტის სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, რისკის შეფასების საფუძველზე.

სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია 2016-2018 წლებისათვის და წარმოადგენს წლიური გეგმების შემუშავების საფუძველს. გეგმების კორექტირება შესაძლოა განხორციელდეს მაუწყებლის ამოცანების განხორციელების, მიზნების მიღწევის ხელშემშლელი ფაქტორების - რისკების შეფასებისა და მათი პერიოდული გადასინჯვის საფუძველზე.

სტრატეგიული გეგმის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს გააცნოს შიდა აუდიტის სუბიექტის სტატუსი, შიდა აუდიტორული საქმიანობის დანიშნულება, ძირითადი ამოცანები, სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველები (რისკის შეფასების მიდგომა, პროცესი, შედეგები), სტრატეგიული განვითარების გამოწვევები და მიმართულებები.

## 1. შიდა აუდიტის სუბიექტის სტატუსი, მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილება

შიდა აუდიტის სამსახური მაუწყებლის სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომლის საქმიანობა გულისხმობს დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართულ დამოუკიდებელ, ობიექტურ და საკონსულტაციო საქმიანობას, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ.

სამსახური ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის (შემდგომში – დირექტორი) და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წინაშე. მაუწყებელში შიდა აუდიტის სამსახური ფუნქციონირებს 2016 წლის თებერვლიდან, მანამდე არსებობდა მაუწყებლის აუდიტორის ერთი საშტატო ერთეული.

სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურს ჰყავს ერთი მოადგილე.

მაუწყებლის დებულების თანახმად, მაუწყებლის შიდა აუდიტორს მრჩეველთა საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს მაუწყებლის დირექტორი. აღნიშნული დანაწესი უფრო მეტად უზრუნველყოფს მაუწყებლის შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობას. ამასთან შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობა გარანტირებულია „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის თანახმადაც: „შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს

კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და სხვა ინსტრუქციებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად. დაუშვებელია შიდა აუდიტორის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე სხვაგვარი ზემოქმედება.“

შიდა აუდიტორს დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოებთან (დირექტორი/მრჩეველთა საბჭო) ღია პროფესიული ურთიერთობის საშუალება უნდა ჰქონდეს, თუმცა თუ შიდა აუდიტის სუბიექტი მიიჩნევს, რომ არსებითი შეცდომების რისკი არსებობს მას უნდა ჰქონდეს ნებისმიერი სფეროს თავისუფლად შერჩევისა (თუნდაც შიდა აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელ ორგანოებს განსხვავებული მოსაზრება გააჩნდეს) და შემოწმების საშუალება.

შიდა აუდიტი, შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტის (IIA) განმარტების შესაბამისად, არის დამოუკიდებელი, ობიექტური მტკიცებულებითი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და აუმჯობესებს დაწესებულების ფუნქციონირებას. იგი დაწესებულებას ეხმარება მიზნების მიღწევაში, რისკის მენეჯმენტის, კონტროლისა და მართვის ავტონომიური პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში სისტემური, ორგანიზებული მიდგომის გამოყენებით.

შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას მიზნების მიღწევაში შემდეგი საქმიანობების განხორციელებით:

- ა) დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;
- ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
- გ) დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება;
- დ) დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;
- ვ) დაწესებულების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ზ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

შიდა აუდიტის როლს რისკის მართვასა და შიდა კონტროლის განხორციელებაში განსაზღვრავს „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულება, რომლის თანახმად:

1. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს რისკის მართვის პროცესების ეფექტურობა და ხელი შეუწყოს მათ გაუმჯობესებას.

2. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს დაწესებულების მმართველობით სისტემასთან, ოპერაციებთან და საინფორმაციო სისტემებთან დაკავშირებული რისკები შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

ა) ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა;

ბ) ოპერაციებისა და პროგრამების ეფექტურობა და ეფექტიანობა;

გ) აქტივების დაცულობა;

დ) კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ დოკუმენტებთან, ინსტრუქციებთან, პროცედურებთან და კონტრაქტებთან შესაბამისობა.

3. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს თაღლითობის არსებობის ალბათობა და თუ როგორ მართავს დაწესებულების ხელმძღვანელობა თაღლითობის რისკს.

4. შიდა აუდიტორებმა შემოწმებიდან მიღებული რისკების თაობაზე ცოდნა უნდა გამოიყენონ დაწესებულების რისკის მართვის პროცესების შეფასებაში.

5. დაწესებულების ხელმძღვანელისათვის რისკის მართვის პროცესების ჩამოყალიბებაში ან გაუმჯობესებაში დახმარების გაწევისას, შიდა აუდიტორებმა თავი უნდა შეიკავონ რისკების მართვაში ჩარევისგან, რაც დაწესებულების ხელმძღვანელის უშუალო კომპეტენციაა.

შიდა აუდიტი უნდა დაეხმაროს დაწესებულებას მიაღწიოს თავის მიზნებს კონტროლის სისტემების რეგულარული გადასინჯვის გზით, ასევე პროცედურების, ოპერაციების, მენეჯმენტის, კონტროლის და რისკის მენეჯმენტის გაუმჯობესების შესახებ შეთავაზებული რეკომენდაციებით.

შიდა აუდიტი დამოუკიდებელი უნდა იყოს იმ საქმიანობებისგან, რომლის აუდიტსაც ახორციელებს, რათა აუდიტის შედეგები იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი.

## 2. სტრატეგიული და ორგანიზაციული პროცესების მიმოხილვა

შიდა აუდიტი ემსახურება დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებას და მიმართულია მისი მიზნების მიღწევისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის ფუნქცია თანხვედრაში უნდა იყოს მაუწყებლის მისიასთან და ამოცანებთან. რისკის შეფასება, ასევე აღნიშნულ შეფასებაზე დაფუძნებული სტრატეგიული და წლიური გეგმებიც და შემდგომ გეგმის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობები ორიენტირებული უნდა იყოს მაუწყებლის ფუნქციონირების გაუმჯობესებისკენ და გათვალისწინებულ უნდა იქნას მაუწყებლის მიზნები, პრიორიტეტები და მიმართულებები.

მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ არ არის შექმნილი დოკუმენტი (მაუწყებლის განვითარების მოკლევადიანი, გრძელვადიანი და წლიური სამოქმედო გეგმები), რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლის საქმიანობის გრძელვადიან ხედვას. აღნიშნული დოკუმენტების შექმნის შემთხვევაში, მაუწყებლის სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოსაყვანად მიზანშეწონილი იქნება შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმის გადასინჯვაც.

ორგანიზაციის მიზნების მიღწევისათვის შიდა აუდიტის საქმიანობასთან ერთად აუცილებელია შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და განვითარება. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, რისკის მართვის დანერგვისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საჯარო ადმინისტრირების განსხვავებული სტილის ჩამოყალიბება და ამ კუთხით მენეჯერების ცნობიერების ამაღლება. მითითებული მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია შიდა აუდიტის მიერ დანერგილ იქნას შიდა კონტროლის სისტემისა და რისკების შეფასება, რომლის შესაბამისადაც მენეჯმენტი შეძლებს შეიმუშავოს კონტროლის

მექანიზმები. ვინაიდან, რისკის შეფასება შიდა კონტროლის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ კონტროლის შესაბამისი და ადეკვატური ღონისძიებების შერჩევაში მისი როლი მნიშვნელოვანია.

### 3. შიდა აუდიტის გარემო

შიდა აუდიტის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს მაუწყებლის სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო.<sup>1</sup> შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება ვრცელდება მაუწყებლის სისტემაზე, რომელიც მოიცავს: მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებს, ამასთან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>3</sup>-ე მუხლის თანახმად მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოები არიან და შესაბამისად მაუწყებლის სისტემაში შედის: მრჩეველთა საბჭო და დირექტორი.

### 4. სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები რისკის შეფასება

შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძველია რისკების შეფასება. შიდა აუდიტის მიერ ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, რისკების შეფასება განხორციელდა წინა წლების გამოცდილების, მათ შორის განხორციელებული აუდიტის შედეგების, აუდიტის გარემოს თითოეულ ობიექტთან დაკავშირებით არსებული/მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის, ურთიერთშეჯერებისა და შეფასების საფუძველზე.

შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ უნდა შემუშავდეს შიდა აუდიტის წლიური გეგმა. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ერთხელ, თუმცა

<sup>1</sup> „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

მისი გადასინჯვა აუცილებელია პერიოდულად (ორ წელიწადში ერთხელ მაინც). შიდა აუდიტის წლიური გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი წლის ბოლოს, ახალი ფინანსური წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას, ისევე როგორც შიდა აუდიტის წლიურ გეგმას, შესათანხმებლად წარუდგენს მრჩეველთა საბჭოს. შიდა აუდიტის წლიური გეგმა უფრო დეტალურია, ვიდრე შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა. შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში, პირველ რიგში, აისახება რისკის შეფასების შედეგების ანალიზი, ხოლო შემდეგ – აუდიტის დანარჩენი პროცედურების განხორციელების გეგმები. აღნიშნული მოიცავს როგორც აუდიტის პროცედურის ხასიათს, ისე აუდიტის მოქმედების სფეროს და თითოეული აუდიტის განხორციელების ვადებს.

#### 5. რისკის შეფასების შედეგები, აუდიტორული შემოწმების ხანგრძლივობა და საჭირო რესურსები

რისკის შეფასების შედეგები ასახულია შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში. მიღებული შედეგების მიხედვით განისაზღვრება აუდიტორული შემოწმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა.

შიდა აუდიტის სფეროში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია რისკი ამა თუ იმ ობიექტზე, ინტერვალი აუდიტორულ შემოწმებებს შორის უნდა იყოს შესაბამისად მცირე. საუკეთესო შემთხვევაში, შემოწმება უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად. აუდიტის ობიექტთა სიმრავლის და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, რისკის კატეგორიების მიხედვით აუდიტორული შემოწმებების განხორციელების შესაბამისად დაგეგმვა და განხორციელება ვერ მოხერხდება. თუმცა, ყველაზე მაღალი რისკის მქონე ობიექტების შემოწმება მიზანშეწონილია მომავალში განხორციელდეს მეტი ინტენსივობით.

რისკის შეფასების შედეგების, ადამიანური და დროის რესურსების მიხედვით უნდა განისაზღვროს აუდიტის თითოეული ობიექტის შემოწმების სავარაუდო ვადები. არსებული რესურსების გამოყენება მიზანშეწონილია მოხდეს მაქსიმალურად ეფექტურად.

მნიშვნელოვანია, რომ შიდა აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვისას მხედველობაში იქნას მიღებული გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგიც.

სტრატეგიულ გეგმაში ასახულია შიდა აუდიტის გარემოს ყველა ობიექტი.

#### 6. გამოწვევები და შიდა აუდიტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

შიდა აუდიტის სამსახურის ყოველდღიური საქმიანობა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის, სამსახურის დებულების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და შიდა აუდიტის სფეროს მარეგულირებელი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და მაუწყებლის წინაშე არსებული პრიორიტეტების, მაუწყებლის სისტემის თითოეული რგოლის წინაშე არსებული რისკების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის პროფესიონალური და ეფექტიანი საქმიანობით შიდა აუდიტის როლის პოპულარიზაცია და აუდიტის გარემოს თითოეული რგოლის ხელმძღვანელობის ცნობიერების ამაღლება შიდა აუდიტის მნიშვნელობასთან და შიდა კონტროლის სისტემებთან მიმართებაში.

შიდა აუდიტის სამსახურის ამოცანაა მუდმივი მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების/ინსტრუქციების შესაბამისად, შიდა აუდიტის განხორციელების ხარისხის ამაღლების მიზნით.

აუდიტორული შემოწმებების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია მომავალში დაინერგოს და განხორციელდეს აუდიტის ახალი სახეები.

ამსთან, აუდიტის სუბიექტის მიგნებებმა და მის მიერ გაცემულმა რეკომენდაციებმა უნდა უზრუნველყოს:

1. მაუწყებლის ფინანსების, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება;
2. მაუწყებელში სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მართვის გაუმჯობესება;
3. მაუწყებელში მატერიალური რესურსებისა და საწყობის მართვის გაუმჯობესება;
4. ფინანსური და პროგრამული ანგარიშების გაუმჯობესება;
5. შემდეგი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სხვა ხარჯების დაგეგმვა/წარდგენის პროცესის გაუმჯობესება;
6. მაუწყებელში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაუმჯობესება;
7. მაუწყებელში ადამიანური რესურსების სტრატეგიული პოლიტიკისა და მართვის სისტემის სრულყოფა;
8. თანამშრომელთა სახელმძღვანელოს, ადამიანური რესურსების განვითარების, სწავლების, ტრენინგების სისტემის შექმნა/გაუმჯობესება;

**მოსალოდნელი შედეგები:**

დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია, რომ შემდეგი შედეგები მიიღწევა:

- გაუმჯობესდება მაუწყებლის ფინანსების, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების მართვა და ადმინისტრირება;
- მაუწყებელში არსებულ სამუშაოთა ავტომატიზაციის მიზნით დაინერგება ელექტრონული წარმოების სისტემები.

**ძირითადი რისკები:**

რისკები, რომლებიც წარმოდგენენ ხელშემშლელ ფაქტორებს სტრატეგიული მიზნის მიღწევის პროცესში, შემდეგია:

- შემუშავებული რეკომენდაციების იმპლემენტაციის სირთულე;
- მაუწყებელში დასაქმებული პირების ინტერესისა და მზაობის არარსებობა/ნაკლებობა.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, სამსახურზე დაკისრებული ამოცანების რიცხოვნობიდან, ასევე, საქმიანობის შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელებიდან, სამსახურში არსებული ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, სამსახურის მიზანია

დანერგოს და გააუმჯობესოს მაუწყებლის სისტემაში რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესები, რათა უზრუნველყოს აუდიტის მართვადობა, რისკიანი სფეროების/ობიექტების გამოკვეთა/დასაბუთება და ადეკვატური სახის აუდიტორული შემოწმებების განხორციელება, აუდიტის გეგმის სანდობა, ასევე, საკადრო რესურსის ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენება.

შიდა აუდიტის სამსახურის უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის, მიზანშეწონილია პერიოდულად განხორციელდეს შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი/გადამზადება. მნიშვნელოვანია მათი კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მომზადება.

სამსახურის საქმიანობის ეფექტურობას გაზრდის სხვადასხვა დაწესებულებების შიდა აუდიტის სუბიექტებთან ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობა გარე აუდიტთან. კვალიფიციური გარე მიმომხილველი ან მიმომხილველთა ჯგუფი ავლენს კომპეტენტურობას შიდა აუდიტის საქმიანობისა. დამოუკიდებელი მიმომხილველი ან მიმომხილველთა ჯგუფი ნიშნავს ფაქტობრივი და ხილული ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას. იგი არ მიეკუთვნება და არ არის იმ დაწესებულების კონტროლის ქვეშ, რომელსაც შიდა აუდიტის სუბიექტი ეკუთვნის.

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია თვითშეფასების მექანიზმების შემუშავება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის  
ტელევიზიისა და რადიო“-ს შიდა აუდიტის სამსახურის

**წლიური გეგმა**

2016 წელი

სარჩევი:

1. შესავალი
2. შიდა აუდიტორული შემოწმებები
  - 1) შიდა აუდიტის ობიექტი (პროცესები/სამსახურები)
  - 2) აუდიტის სახე
  - 3) აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო
  - 4) აუდიტორული შემოწმების პერიოდი
  - 5) რესურსების განაწილება
3. მონიტორინგი

## 1) შესავალი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს“ (შემდეგში-მაუწყებელი) დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. შესაბამისად მაუწყებელს აქვს მანდატი გაუძღვეს საჯარო ფინანსებს, რაც აუცილებლად გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტურად და პროდუქტიულად უნდა განხორციელდეს. ვინაიდან, საჯარო დაწესებულება განსხვავდება კერძო ბიზნესისგან მისი თითოეული ღონისძიება უნდა იქნას გაანალიზებული და ალტერნატივებიდან საუკეთესო შერჩეული, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხს, დროულობას, თანასწორობას და მოქალაქების მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამისათვის, საჭიროა არსებობდეს ჩამოყალიბებული რისკების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, კომუნიკაციის, ადამიანური რესურსების და სხვა მექანიზმები, რომელიც მთლიანობაში ქმნის ეფექტურ საჯარო დაწესებულებას. ამ ყოველივეს მოიცავს შიდა კონტროლის სისტემა, უფრო კონკრეტულად ფინანსური მართვა და კონტროლი, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ფინანსების მართვას ან კონტროლს და წარმოადგენს წესებისა და ნორმატივების ერთობლიობას, კონტროლის მექანიზმებს, სათანადო ინფორმაციის გაცვლას, რისკების მართვას და ანგარიშგებას. სისტემის დანერგვა ემსახურება მართლზომიერი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას. ამასთან, სწორედ ეს სისტემა წარმოადგენს შიდა აუდიტის სუბიექტების დაკვირვებისა და ანგარიშგების საგანს.

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახური რისკის შეფასებისას ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, აუდიტის გარემოს თითოეულ ობიექტთან დაკავშირებით არსებული/მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს, ურთიერთშეჯერებას და შეფასებას.

## 2) შიდა აუდიტორული შემოწმებები

შიდა აუდიტის ობიექტი N1:	<i>ფინანსური ეფექტიანობის სამსახური</i>
აუდიტის სახე:	<i>ფინანსური აუდიტი</i>
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	ფინანსური ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება, კერძოდ მაუწყებლის ბიუჯეტით დამტკიცებული და გაწეული ხარჯების, არასაბიუჯეტო შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის, შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯების, მაუწყებლის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების, ქონებრივი ღირებულებების მოვლა-პატრონობისა და აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა.
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	<i>01.01.2016 - 01.07.2016</i>
აუდიტის ჩატარების ვადა:	<i>01.07.2016 – 01.08.2016</i>
რესურსების გადანაწილება:	<i>შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე</i>

შიდა აუდიტის ობიექტი N2:	<i>მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის სამსახური/სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება</i>
აუდიტის სახე:	<i>შესაბამისობის აუდიტი</i>
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის/სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების წინაშე არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და მათი საქმანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	<i>01.01.2016-01.08.2016</i>
აუდიტის ჩატარების ვადა:	<i>01.08.2016-01.10.2016</i>
რესურსების გადანაწილება:	<i>შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი</i>

შიდა აუდიტის ობიექტი N3:	საკადრო ბაზის განვითარების სამსახური
აუდიტის სახე:	შესაბამისობის აუდიტი (ადამიანური რესურსების აუდიტი)
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	შრომითი ხელშეკრულებებისა და საკადრო მენეჯმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	01.01.2016-01.09.2016
აუდიტის ჩატარების ვადა:	01.09.2016-01.12.2016
რესურსების გადანაწილება:	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე

შიდა აუდიტის ობიექტი N4:	მრჩეველთა საბჭო
აუდიტის სახე:	შესაბამისობის აუდიტი
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება, არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	01.01.2016 -31.12.2016
აუდიტორული შემოწმების ვადა:	01.01.2017-01.02.2017
რესურსების გადანაწილება:	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე

შიდა აუდიტის ობიექტი N5:	სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
აუდიტის სახე:	სისტემური აუდიტი
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	მაუწყებლის ბიუჯეტის მართვისა და კონტროლის სისტემის (ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების წესის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება) ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება.
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	2015-2016 წწ.
აუდიტის ჩატარების ვადა:	01.05.2016 – 01.07.2016
რესურსების გადანაწილება:	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე

### 3) მონიტორინგი

აუდიტის ობიექტი	რეკომენდაციის შესრულების პერიოდი	მონიტორინგის პერიოდი	აუდიტორთა რაოდენობა
ფინანსური ეფექტიანობის სამსახური	2016 წლის ,აგვისტო	IV - კვარტალი	1
იურიდიული მხარდაჭერის სამსახური	2016 წლის ,ოქტომბერი	IV - კვარტალი	1
საკადრო ბაზის განვითარების სამსახური	2016 წლის ,დეკემბერი	IV- კვარტალი	2
მრჩეველთა საბჭო	2017 წლის ,ტებერვალი	I- კვარტალი	2
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“	2016 წლის, დეკემბერი	IV- კვარტალი	2